საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„არგო“

"არგო", ძვ. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ასე ეწოდებოდა ხომალდს, რ-ითაც იმოგზაურეს ბერძენმა გმირებმა საბერძნეთიდან კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

პირველ ცნობებს „ა-სა“ და კოლხური გარემოს შესახებ ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ვხვდებით: «ტალღებს მიაპობს ყველასათვის ცნობილი საზღვაო ხომალდი „არგო“» („ოდისეა“, XII სიმღერა, 69–70 ტაეპები). გადმოცემის თანახმად „ა.“ სწორკუთხა აფრითა და 50 ხოფით აღჭურვილი სამხ. ხომალდი ყოფილა (სინამდვილეში 50-ხოფიანი ხომალდი – პენტაკონტერი გამოიგონეს და ააგეს მხოლოდ ძვ. წ. VII ს-ში, ასე რომ, „ა.“ იქნებოდა 20-ხოფიანი ხომალდი), რ-იც აუგია არგოსს. აქედან მოდის ხომალდის სახელწოდებაც. ბერძნ. თქმულება არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ მიკენურ ხანაში შეიქმნა (დაახლ. ძვ. წ. XIII ს. I ნახ.) და მასში აისახა ბერძენ-აქაველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ.

იხ. აგრეთვე სტ. სევერინი ტ.

წყარო: აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის გამოც., თბ., 1970.

ლიტ.: კ უ ტ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი ზ., ნაოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1987; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986; უ რ უ შ ა ძ ე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.